www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სოციალური დაცვის მაჩვენებლები

2022

10.02.2023
www.geostat.ge

10.02.2023

სოციალური დაცვის მაჩვენებლები

(2022 წელი)

2022 წელს, საქართველოში პენსიის მიმღებთა რიცხოვნობამ 808 326 პირი შეადგინა, რომელთაგან 71.3 პროცენტი ქალია, ხოლო 28.7 პროცენტი - კაცი. პენსიის მიმღებთა 29.9 პროცენტი თბილისშია, 16.0 პროცენტი - იმერეთში, 10.6 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში, 9.8 პროცენტი - ქვემო ქართლში, 8.8 პროცენტი - კახეთში, დანარჩენ რეგიონებში კი ჯამში 24.9 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პენსიის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით, 2022 წელს.

დიაგრამა №1

პენსიის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით

(%)



www.geostat.ge info@geostat.ge

10.02.2023

სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რიცხოვნობამ 178 426 შეადგინა, რომელთაგან 33.3 პროცენტს ქალები შეადგენენ, ხოლო 66.7 პროცენტს - კაცები. სოციალური პაკეტის მიმღებთაგან 70.6 პროცენტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ, 12.8 პროცენტს - ომის მონაწილეები, 12.0 პროცენტს - მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრები, 4.4 პროცენტს - სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები, ხოლო 0.2 პროცენტს - სხვა სახის სოციალური პაკეტის მიმღები პირები.

რეგიონების მიხედვით სოციალური პაკეტის მიმღებთა 27.1 პროცენტი თბილისშია, 16.6 პროცენტი იმერეთში, 11.5 პროცენტი აჭარის არ-ში, 9.6 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში, დანარჩენ რეგიონებში კი ჯამში 35.2 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სოციალური პაკეტის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით, 2022 წელს.

დიაგრამა №2

სოციალური პაკეტის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით

(%)



10.02.2023

2022 წელს, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობამ 369 515 ერთეული შეადგინა, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობამ - 149 864.

რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი რეგისტრირებული ოჯახი თბილისშია და 70.9 ათასს შეადგენს, მიმღებთა რაოდენობა კი 36.6 ათასია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა 2022 წელს.

დიაგრამა №3

რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა
(ათასი)



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საკონტაქტო პირები:
ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge